როდესაც მივდიოდი მაღლა ზეციდან შემომესმა ხმა, მხედველობა მისკენ მივაპყარი, ეს იყო ანგელოზი, რომელიც გამომეცხადა ჰირას გამოქვაბულში

გადმოცემულია აბუ სალამა ბინ აბდურრაჰმანისგან, რომ ჯააბირ იბნ ‘აბდულლაჰ ალ-ანსარიმ (ალლაჰი იყოს მათით ორივეთი კმაყოფილი) თქვა: მოციქული ყვებოდა ზეშთაგონების შეყოვნების პერიოდზე, და თავის მონაყოლში თქვა: «როდესაც მივდიოდი მაღლა ზეციდან შემომესმა ხმა, მხედველობა მისკენ მივაპყარი, ეს იყო ანგელოზი, რომელიც გამომეცხადა ჰირას გამოქვაბულში, ის იჯდა თავის ტახტრევანზე ზეცასა და მიწას შორის, მე მისი შემეშინდა, დავბრუნდი სახლში და ვყვიროდი: დამაფარეთ, უზენაესმა ალლაჰმა აიათი გარდმოავლინა: {ჰეი, შენ სამოსში გახვეულო, წამოდექი და შეაგონე} [ალ-მუდასსირ:2] სიტყვებამდე {და სიბილწე განდევნე} [ალ-მუდასსირ: 5]. შემდეგ განმტკიცდა ზეშთაგონება და გაგრძელდა».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო ზეშთაგონების შეწყვეტასთან და გარდმოვლენის შეჩერებასთან დაკავშირებით შუამავლობის დაკისრების პირველ პერიოდში: როდესაც ვიმყოფებოდი მექქასთან ახლოს, ზეციდან გავიგონე ხმა და შევხედე მას, დავინახე ანგელოზი ჯიბრილი, რომელიც მანამდე ჰირას გამოქვაბულში გამომეცხადა, ის იჯდა ზეცასა და მიწას შორის არსებულ ტახტრევანზე, შემეშინდა და შევძრწუნდი მისგან, სასწრაფოდ დავბრუნდი სახლში და ვთქვი: გამახვიეთ სამოსში. უზენაესმა ალლაჰმა გარდმოავლინა :{ჰეი, შენ სამოსში გახვეულო} რომელსაც შემოხვეული აქვს სამოსი, {წამოდექი} მოუწოდე (და შეაგონე} გააფრთილე ისინი, ვისაც არ სწამს შენი მოტანილი გზავნილის. {და შენი ღმერთი} შენი ღვთაება და სათაყვანებელი {განადიდე} ერთღმერთიანად განადიდე ის. {და შენი სამოსი} შენი ჩასაცმელი {განიწმინდე} გაწმინდე ის სიბინძურისგან {სიბილწე} კერპების თაყვანისცემა {განდევნე} განაგდე, ამის შემდეგ გაძლიერდა ზეშთაგონება და გახშირდა.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/66304